იმერეთის რეგიონის მუნიციპალური ეკონომიკური პოტენციალის განვითარების დინამიკა და ზრდის რეზერვები

ვახტანგ დათაშვილი
სტუ-ს პროფესორი
E-mail: social_economica@mail.ru
ვალერიან გორგოძე
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: vgorgodze@worldtechnic.ge

რეზიუმე

წარმოდგენილი თეორიული კვლევები ნაშრომში დაკონკრეტებულია და გადმოცემულია იმერეთის რეგიონის მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის განვითარების სტრატეგიული პოტენციალის ანალიზის მექანიმზად.

ავღნიშნავთ, რომ მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი, კონკრეტულად კი მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების შიგა და გარე ფაქტორების გავლენა იძლევა შესაძლებლობას:

- გამოვავლინოთ ძირითადი ფაქტორი, რომელიც მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა სფეროს ფუნქციონირებას განსაზღვრავს და ახდენს არსებით გავლენას მის სტრატეგიულ პოტენციალზე;
- გავლენის ანალიზის ჩატარება, რომელიც ტერიტორიის სტრატეგიულ განვითარებაზე ხორციელდება შიდა და გარე გარემოს ფაქტორებით, პოზიტიური და ნეგატიური ფაქტორების დადგენა;

მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის სტრატეგიულ განვითარებაზე მოქმედი ნეგატიური ფაქტორების აღკვეთისათვის აუცილებელი ღონისძიებების შემუშავება და გავლენის პოზიტიური ფაქტორების გამოყენება ეფექტურობის ასამაღლებლად.ზოგიერთი ავტორი განსაზღვრავს ეკონომიკური პოტენციალის ირგვლივ არსებული ლიტერატურის ანალიზი, ჩვენს მიერ გაკეთდა დასკვნა, მოსახლეობას, მიწას (ბუნებრივი რესურსებით) და მატერიალიზებულ კაპიტალს, ანუ შესაბამისად: ადამიანისეულ, ბუნებრივ და საწარმოო პოტენციალებს. სხვები გამოყოფენ და ცდილობენ შეფასება მისცენ განსახილველი ცნების რამდენიმე ათეულ სხვადასხვა შემადგენელს. უდაოა, რომ დღეისათვის რთულია გაეცეს ერთმნიშვნელოვანი პასუხი პოტენციალის სტრუქტურის შემადგენელი ნაწილების რაოდენობრივ ერთიანობას ფაქტორების სიმრავლის გამო, რომლებიც ზემოქმედებენ სოციალურ-ეკონომიკური უერთიერთობებზე საზოგადოებაში. ჩვენი აზრით, აუცილებელია ამ დისკუსიის გაგრძელება, რამდენადაც ის საშუალებას იძლევა გაფართოვდეს, სისტემაში მოექცეს და გამდიდრდეს ცოდნა პოტენციალის აღწარმოების დარგში, საწარმოო და სოციალური კავშირები ყველა დონეზე, მაკრო- და მიკრო სამეურნეოს ჩათვლით.

ჩვენი აზრით, „მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის" კატეგორიის ქვეშ იგულისხმება მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც განაპირობებს ტერიტორიაზე არსებული რესურსების გარდაქმნის შესაძლებლობებს დასახული სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად.

ერთ-ერთ ძირითად პრობლემას, დაკავშირებულს ანალიტიკური პროცესის ორგანიზებასთან, მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის შეფასებისა და ანალიზისათვის, წარმოადგენს მისი სტრუქტურის განსაზღვრის სირთულე. მხოლოდ ტერიროტიის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის ძირითადი სტრუქტურული ელემენტების გამოყოფით შეიძლება განვსაზღვროთ ანალიტიკური სამუშაოს მიმართულება, შევიმუშაოთ შესაბამისი მაჩვენებლების სისტემა.

მკვლევარების ნაწილს მიაჩნია, რომ პოტენციალის ურთიერთკავშირების სისტემის განსაზღვრა და მისი სტრუქტურის დადგენა რთული პროცესია, რამდენადაც კვლევის ობიექტი საკმაოდ აბსტრაქტულია. ძირითადად, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ სისტემის შესაძლებლობები არა მხოლოდ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან, არამედ ურთიერთშთანთქამენ

კიდეც ერთმანეთს. შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითი და ავღნიშნოთ, რომ ბუნებრივი პოტენციალი მოიცავს მიწის, კლიმატურ, წყლის, რეკრეაციულ, ლანდშაფტურ და სხვა ლოკალურ პოტენციალებს, რომლებიც განსხვავდება გამოყენების მიზნებით.

ჩვენ მხარს ვუჭერთ მეცნიერთა უმრავლესობის პოზიციას, იმაში, რომ პოტენციალი ასრულებს ერთ-ერთ მთავარ როლს სხვადასხვა დონის სისტემების ეკონომიკაში და საშუალებას იძლევა სწორად განისაზღვროს ამოცანები და სტრატეგიული მიზნები, შემუშავდეს მათი რეალიზაციის ეფექტური მექანიზმები. სტრატეგიული სუბიექტის ფორმირებისათვის საჭიროა ვფლობდეთ ცოდნას მისი შესაძლებლობების შესახებ.

კვლევაში ჩვენს მიერ შემუშავდა მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის პოტენციალის სისტემური კვლევის მოდელი, რომელიც გამოყენებულ იქნება იმერეთის რეგიონის მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის სტრატეგიული პოტენციალის ანალიზისათვის. ჩვენს მიერ გათვალისწინებულ იქნა ანალიზის ფაქტორები სისტემური მიდგომის ფარგლებში:

1. ელემენტური ფაქტორი - პოტენციალის წყობის განსაზღვრა, მისი სახები, პოტენციალის ძირითადი მახასიათებლები და მათი სიმძლავრე.

2. სტრუქტურული ფაქტორი - პოტენციალების სისტემის სტრუქტურული შემადგენლების განსაზღვრა: რაოდენობრივი და ხასისხობრივი ურთიერთდამოკიდებულება და მათი ტიპები.

3. ფუნქციური ფაქტორი - სტრატეგიული პოტენციალების ფუნქციების გამოვლენა ტერიტორიის განვითარების სისტემაში, ფუნქციის სტრატეგიულ მიზანთან შედარება და გავლენის განსაზღვრა მის მისაღწევად, პოტენციალის ფუნქციებს შორის მსგავსებისა და განსხვავების დადგენა.

4. ინტეგრალური ფაქტორი - პოტენციალების სტრუქტურაში წინააღმდეგობების გამოვლენა, მათი გადაჭრის შესაძლებლობები, პოტენციალების იერარქიის დადგენა მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე სუბიექტის სტაბილური განვითარების მისაღწევად.

5. კომუნიკაციური ფაქტორი - ტერიტორიის პოტენციალსა და მის გარე სამყაროს შორის კოორდინაციული და სუბორდინაციული კავშირების განსაზღვრა.

კვლევის შედეგად დადგინდა პოტენციალისა და მისი კვლევების საბოლოო შედეგის ურთიერთკავშირის დასაბუთების აუცილებლობა. ამასთან დაკავშირებით განისაზღვრა მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის „პოტენციალისა" და „რესურსების" დეფინიციების განსხვავება, რომლებიც ხშირად იდენტიფიცირებულია, რაც იწვევს მათ არასწორ დახასიათებას.

ჩვენი აზრით, რესურსებს წარმოადგენს არსებული და გამოყენებული შესაძლებლობები. რესურსები განიხილება მისი საბოლოო შედეგთან შედარებით. ამიტომ, პირველ რიგში, საუბარია რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე, არსებული რეალობის ადეკვატურობაზე, რამდენადაც პოტენციალი გარდაიქმნება რესურსად, ხოლო რესურსი შედეგად.

ჩვენ მიერ აღინიშნა პოტენციალის მუდმივი ცვალებადობა დროის მონაკვეთში მისი თვითგანვითარების პროცესში და ასეთი გარდასახვის შედეგების ზემოქმედებაზე. თვითგანვითარება - არის პოტენციალის ცვლილება, რომელიც მიმდინარეობს უშუალოდ გარე და შიგა სფეროს ფაქტრების უშუალო ზეგავლენის გარეშე. თავისი გარდასახვის პროცესში სუბიექტის მიერ გამოყენებული რესურსები, რომლებიც პოტენციალის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, ტრანსფორმირდება გარკვეულ შედეგში, ისინი იცვლება და იღებს აქამდე უცნობ თვისებებს. ამ პროცესში გარდასახული რესურსების გარკვეული რაოდენობა უკვე აღარ წარმოადგენს პოტენციალის შემადგენელ ნაწილს.

ჩვენ ვემხრობით კვლევის სისტემურ მიდგომას, რომელიც აღნიშნავს, რომ ნებისმიერი სისტემა წარმოადგენს ერთიან ინტეგრირებულ ობიექტს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შედგება ცალკეული ნაწილებისა და ქვესისტემებისგან.

ეს საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ მუნიციპალური ეკონომიკური სისტემა,როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული ფუნქციონირების სფეროების კომპლექსი, რომლებიც გაერთიანებულია სისტემის სტრატეგიული განვითარების საერთო მიზნით, რაც მისი თვისებების, ასევე შიდა და გარე ურთიერთქმედების გამოვლენის საშუალებას იძლევა.

პოტენციალის შეფასებისას აუცილებელია განისაზღვოს საკვლევი ობიექტი, მისი დამკვეთი და შემსრულებელი. ეს განაპირობებს შეფასების მიზანს და მისდამი მიდგომას. ტერიტორიის პოტენციალის შეფასებისას დამკვეთებად შეიძლება მოგვევლინონ ხელისუფლების ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობა, მუნიციპალური წარმონაქმნები, ბიზნესსტრქურები, ინვესტორები და სხვა სუბიექტები.

შეფასების ობიექტად ხშირად გვევლინება გარკვეული ტერიტორია, როგორც მის ხელთ არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების ერთობლიობა, პოტენციალები ზოგიერთი

სახეობა ან ტერიტორიის ლოკალური პოტენციალების კომბინაცია.

ამის საფუძველზე პოტენციალის შეფასების მიზანი შეიძლება იყოს ტერიტორიის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირება, კომპლექსური მიზნობრივი პროგრამების შემუშავება, საწარმოების განვითარების ტენდენციის დასაბუთება, გასაღების ბაზრების ეფექტური ორგანიზება, ეკოლოგიური უსაფრთხოების ამაღლება და სხვ.

ამ დარგში კვლევეი საკმაოდ დიდი ხანია მიმდინარეობს და განისაზღვრება შემდეგი მიზეზებით:

- სტრატეგიული განვითარების მიზნობრივი პროგრამების ხარჯებისა და შედეგების აღრიცხვის აუცილებლობით;

- მუნიციპალური ეკონომიკური სისტემების საბიუჯეტო გეგმების კორექტირების აუცილებლობით და მათში ტერისტორიის რესურსების აღწარმოების ხარჯების შეტანით;

- რესურსების გამოყენების ფასების რეგულირების განხორციელების შესაძლებლობით, რომელიც რაციონალური და ეფექტური გამოყენების სტიმული უნდა იყოს.

მიუხედავად ტერიტორიის პოტენციალის შეფასებისადმი მრავალფეროვანი მეთოდური მიდგომისა, ისეთი რესურსული პოტენციალის ფულადი შეფასების მეთოდიკა, როგორიცაა ეროვნული სიმდიდრე, დღემდე იმყოფება დამუშავების სტადიაში. არსებული მეთოდები, მეტ წილად, იფარგლებიან პოტენციალის ცალკეული შემადგენელი ნაწილის ხარისხობრივი ან რაოდენობრივი შეფასებით.

ჩვენ განვიხილეთ სტრატეგიული ანალიზისი განხორციელების ძირითადი მეთოდები: შთ-ანალიზი, პორტფელური ანალიზი, SWOT-ანალიზი, სტრატეგიული ურთიერთობების მატრიცა, მ. პორტერის მოდელები.

დღეისათვის ფართოდ მიღებული გარემოს შჭ თ-ანალიზის მეთოდი, ერთ-ერთ წამყვან მიდგომას წარმოადგენს და შიდა და გარე სამყაროების ურთობლიობის შესწავლის საშუალებას იძლევა. ასეთი მეთოდი საშალებას იძლევა განვსაზღვროთ ურთიერთკავშირი ძალასა და სისუსტეს შორის, გარე შესაძლებლობებსა და არსებულ საფრთხეებს შორის. როგორც ადასტურებენ წამყვანი მეცნიერები, შჭ თ მეთოდოლოგია საკვლევი ობიექტის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე საშიშროებების და შესაძლებლობების, მათ შორის ურთიერთქმედების გამოვლენის საშუალებას იძლევა, რაც მომავალში ობიექტის სტრატეგიის ფორმირებაში გაგვიწევს დახმარებას.

მას შემდეგ, რაც დადგინდა ობიექტის სუსტი და ძლიერი მხარეები, ასევე საფრთხეები და შესაძლებლობები, აუცილებელია განისაზღვროს კავშირები მათ შორის. ამისათვის წაჭიროა შჭ თ მატრიცის შექმნა. ეფექტური ანალიზის გატარებისათვის, მნიშვნელოვანია გამოვლენილი საფრთხეებისა და შესაძლებლობების შეფასება შეგვეძლოს საკვლევ ობიექტზე მათი გავლენისა და ხარისხის თვალსაზრისით, საჭიროა კონკრეტული მაჩვენებლის პოზიციონირების მეთოდის გამოყენება.

ობიექტის ფუნქციონირების გარე ფაქტორების ზემოქმედების გავლენის შესწავლისთვის სტრატეგიულ მართვაში ყველაზე ხშირად გამოიყენება PEST-ანალიზი. იმისთვის, რომ თავი ავირიდოთ გარე სფეროს უამრავ შესაძლო მაჩვენებელში ჩაძირვა, ჩვენი აზრით, აუცილებელია შემოვიფარგლოთ მხოლოდ იმ მაჩვენებლებთ, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ განსახილველი ობიექტის სტრატეგიულ განვითარებაზე. ამიტომ მეცნიერების მიერ შემოთავაზებულია ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორების ჩამონათვალი, რომლებიც გარემოს ზემოქმედებას აფასებენ. ასენია: ეკონომიკური, პოლიტიკურ-სამართლებრივი, სოციალურ-კულტურული, ტექნოლოგიური ფაქტორები.

სტრატეგიული მართვის ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებულ მეთოდს წარმოადგენს მ. პორტერის მოდელები. ისინი ფორმირდებიან გაერთიანებული ჯგუფების (ან კლასტერების) შექმნისა და მხარდაჭერის, კონკურენტული ფირმებისა და საქმიანობის მთელი სახეობების იდეით, რომელთა ცენტრი მდებარეობს მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის ტერიტორიაზე.

ყველაზე გავრცელებული მოდელია „ნაციონალური რომბის" მოდელი. აქ მ. პორტერი აყალიბებს ძირითად კატეგორიებს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საწარმოებისა და სხვა შესაფასებელი ობიექტების, მათი წარმოქმნის კანონზომიერების, ფუნქციონირებისა და კოლაფსის კონკურენტული უპირატესობების ანალიზი. მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის განვითარების კლასტერული მართვის სტრატეგია უკავშირდება კლასტერების შექმნის პროცესებს, ტერიტორიული თანამშრომლიბის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ დონეებზე ზემოქმედების ხარჯზე, ასევე ზემოქმედების ეკონომიკურ მეთოდებს.

. პორტერის კიდევ ერთი პოპულარული მოდელია - კონკურენციის ხუთი ძალის მოდელი. ამ მოდელის თანახმად, ყველაზე ძლიერი კონკურენცია არის მეწარმეებს შორის ბაზრის წილის ზრდისათვის. მასზე გავლენას ახდენენ ზემოქმედების შემდეგი ფაქტორები - მომწოდებლების, კლიენტების, საწარმოების მხრიდან, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ საქმიანობას

და საქონლის შემცველებს. თუ ამ მოდელს გამოვიყენებთ მუნიციპალურ ეკონომიკურ სისტემაზე, შეიძლება ითქვას, რომ ამ სტრატეგიის მიზანი ქალაქის კონკურენტული უპირატესობების გამოვლენაა, რომელიც გავლენას ახდენს ქალაქის იერსახის მიმზიდველობის ზრდაზე პოტენციური ინვესტორებისთვის. ამასთან, ჩვენი აზრით, აუცილებელია განისაზღვროს ტერიტორიის სტრატეგიულ განვითარებაზე ზემოქმედების ფაქტორები სამთავრობო ორგანოებისა და ქვემდგომი ხელმძღვანელი ორგანოების მხრიდან.

. დასავლეთის ეკონომიკაში ასევე ხშირად გამოიყენება კიდევ ერთი სტრატეგიული მართვისმეთოდი - პორტფელური ანალიზი. ეს ინსტრუმენტი უნივერსალურია როგორც საწარმოებისათვის, ისე ტერიტორიებისათვის. ამიტომ, პორტფელური ანალიზი განისაზღვრება, როგორც სტრატეგიული მართვის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ საშუალება, შეაფასონ სამეურნეო სუბიექტების საქმიანობა ყველაზე რენტაბელურ და პერსპექტიულ მიმართულებებში ინვესტიციების მოზიდვის, ასევე არამომგებიან პროექტებში თანხების ნაკადის შემცირების მიზნით. მუნიციპალური წარმონაქმნის მოდელის პორტფელი უნდა დაბალანსდეს, ანუ უნდა განისაზღვროს საქმიანობის სახეობების კომბინაცია, რომელთაც უნდა გაეწიოთ ფინანსური დახმარება, და იმ დარგების, რომლებიც ფლობენ ნამატ კაპიტალს. პორტფელური ანალიზის მთავარ მიზანს წარმოადგენს ქალაქის მთავრობის დახმარება მუნიციპალურ ეკონომიკაში გასავლისა და შემოსავლის განსაზღვრაში. პორტფელური ანალიზის საბაზისო მეთოდს წარმოადგენს ორგანზომილებიანი მატრიცების შექმნა, რომლის ერთ ღერძზე აღინიშნება შიგა ფაქტორების, ხოლო მეორეზე - გარე ფაქტორების მაჩვენებლები.

ლიტერატურა

1. საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სახელმძღვანელო. თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები. ტომი 3. თბ.,, 2016.

2. ვ. დათაშვილი გლობალიზაცია და ტექნოკრატია თბ., 2006. გვ. 568.

3. ვანო ხუხუნაიშვილის სახ. ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის კვლევების შედეგები. წვდომის რეჟიმი: http://www.lsg.gov.ge/

4. მანია ვ. ადგილობრივი დემოკრატია: სამოქალაქო აქტივობის გაზრდის პრობლემები თანამედროვე საქართველოში. სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფ მანია“.

5. საჯარო მმართველობის დეცენტრალიზაციის საზღვარგარეთული გამოცდილების შედარებითი ანალიზი. სამეცნიერო ჟურნალი “ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)” № 4 (36) 2015, ტომი I. გვ. 106-116. ჟურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: http://www.eLIBRARY.ru

6. საქართველოს კანონები, რეკომენდაციები, განმარტებები, განკარგულებები, კომენტარები, ბრძანებულებები საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ. 7/XII. 2006.

ДИНАМИКА И РЕЗЕРВЫ РОСТА РАЗВИТИЯ МУНИЦИПАЛЬНОГО ЭКОНОМИЧЕСКОГО ПОТЕНЦИАЛА РЕГИОНА ИМЕРЕТИ

ВАХТАНГ ДАТАШВИЛИ - профессор ГТУ
E-mail: social_economica@mail.ru
ВАЛЕРИАН ГОРГОДЗЕ - докторант ГТУ
E-mail: vgorgodze@worldtechnic.ge

Резюме

Для предотвращения негативных факторов, влияющих на стратегическое развитие муниципальной экономической системы, необходимо разработка мероприятий и использование позитивных факторов влияния для повышения эффективности. Некоторые авторы анализируют литературу, существеущую вокруг экономического потенциала. Нами сделан вывод по населению, земле, природными ресурсам, материализованным капиталом, т.е. человеческим, природным и производственным потенциалом, другие выделяют и стараются дать оценку нескольким десяткам составляющим обсуждаемого вопроса.